პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 91 (4085)

1970 წ. 12 მაისი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

მამაცთა ზეიმზე

ამას წინათ ი. გაგარინის სახელობის ახალგაზრდა მფრინავ-კოსმონავტთა სპორტული კლუბის წევრებმა სილამაზისა და მამაცობის სპორტული ზეიმი გამართეს.

დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის ეს ღონისძიება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, ფაშისტურ გერმანიასთან გამარჯვების 25 წლისთავს და კოსმონავტიკის დღეს მიეძღვნა.

ამ კლუბში თბილისის ლენინის რაიონის 138-ე, 133-ე და მე-11 საშუალო სკოლების 60 მოსწავლეა გაერთიანებული. ისინი მესამე წელიწადია მონდომებით მეცადინეობენ. მოსწავლეებს შეფობას უწევენ სამოქალაქო ავიაციის გამოცდილი მფრინავები.

მომავალი კოსმონავტები მეცადინეობენ თეორიულ, ფიზიკურ და სამწყობრო მომზადებაში, სპორტულ თამაშებში, ტანვარჯიშში, ეცნობიან თვითმფრინავის ნაწილებს, სწავლობენ მის მართვას, ტექნიკას, კოსმონავტიკას. კლუბის წევრები შარშან მოსკოვში იყვნენ ახალგაზრდა მფრინავ-კოსმონავტთა პირველ შეკრებაზე. ისინი იქ შეხვდნენ — კოსმონავტ ლ. პოპოვიჩს, საბჭოთა კავშირის სამგზის გმირს ი. კოჟედუბს, დამსახურებულ მფრინავ-გამომცდელს ა. მოსოლოვს...

... საპარაშუტო სპორტს საქართველოში საფუძველი 1934 წელს ჩაეყარა. მას შემდეგ აეროკლუბის აღზრდილებმა სამშობლო ბევრჯერ ასახელეს.

ახლა ნორჩების ზეიმზე მოვიდნენ ძველი ავიატორები, სამამულო ომის ვეტერანები, საბჭოთა კავშირის გმირები გ. თვაური, დ. ჯაბიძე, ზ. ხიტალიშვილი, გ. აბულაშვილი, ესკადრილიის ყოფილი უფროსი ვ. ყურაშვილი, სპორტის ოსტატი გ. ბახუტაშვილი...

მყობრშია 60 მოსწავლე. რაზმის უფროსი, მოსწავლე ვ. ხელაძე პატაკს აბარებს საბჭოთა კავშირის გმირს, სპორტის ოსტატს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს ა. ხუხრინს. შეხვედრა გახსნა დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. შავანგირაძემ.

საპატიო სტუმრებმა მოსწავლეებს ბევრი რამ უამბეს ავიაკლუბების მუშაობაზე, გაიხსენეს სამამულო ომის საბრძოლო ეპიზოდები.

შეკრებილთ მიესალმა სპორტის ოსტატი, მსოფლიო რეკორდსმენი ლ. გოგიშვილი.

საზეიმო შეხვედრის შემდეგ მომავალმა თაობამ უფროსებს უჩვენა კარგი მომზადება საპარაშუტო სპორტში.

მომავალი კოსმონავტების ამ ზეიმს ესწრებოდნენ მსოფლიო რეკორდსმენები გ. კრავჩენკო და ვ. გავრილოვი.

ბოლოს თვაურმა, ჯაბიძემ, აბულაშვილმა, ხიტალიშვილმა და ყურაშვილმა ახალგაზრდობა მოიგონეს — თვითმფრინავით უკიდეგანო სივრცეში ერთხელ კიდევ გაინავარდეს, თანაც რთული პილოტაჟით გააოცეს მაყურებელი.

შეკრებაზე შეიქმნა საავიაციო სპორტის რესპუბლიკური ფედერაცია 25 კაცის შემადგენლობით. თავმჯდომარედ აირჩიეს ზ. ხიტალიშვილი.

დ. ჭავჭავაძე.

* * *

სურათზე: აღლუმი.

ბ. ქვათაძის ფოტო.

რეგატის უხვი მოსავალი

ფოთში გაიმართა წლევანდელი რესპუბლიკური რეგატა აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ტურნირში საქართველოს ნიჩბოსანთა გარდა მონაწილეობდნენ თურქმენეთის „ხახმეტის", ვილნიუსის „ჟალგირისის", მოსკოვის „დინამოსა" და „შრომითი რეზერვების" სპორტსმენები. სტარტზე „ტრუდისა" და კიევის არმიელთა სპორტული კლუბის წარმომადგენლებიც უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ მათ შეჯიბრებას თავი აარიდეს, თუმცა ფოთში ვარჯიშობდნენ და ტურნირის დაწყებამდე სამი დღით ადრე... შინ გაემგზავრნენ.

ბრძოლაში პირველად 2000 მეტრზე მოასპარეზე ოთხადგილიანი მესაჭიანი ნავები ჩაებნენ. ყველას აჯობეს თბილისის „ბურევესტნიკის" წარმომადგენლებმა ბ. ნიკურაძემ, ო. ქაფიანიძემ, ვ. კუდუხოვმა, ნ. ფილიევმა (მესაჭე მ. ალიანი) — 7.22,9. მათ სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულეს.

ორადგილიანი უმესაჭო გასაშლელებით ასპარეზობაში იმარჯვეს მცხეთის „სპარტაკის" წარმომადგენლებმა ლოლუამ და ვ. გეგეჭკორმა — 7.51,8. მათაც პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი.

ერთმოსასმელიანი ნავებით შეჯიბრებაში მწვავე ბრძოლა გააჩაღეს საკავშირო პირველობის პრიზიორმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვ. კოპენკინმა (მოსკოვის „დინამო") და თბილისელმა ვ. ბერაიამ („ბურევესტნიკი"). პირველობა უფრო გამოცდილ კოპენკინს დარჩა — 8.15,5. ბერაია მას 5 წამით ჩამორჩა და ოსტატობის კანდიდატობა მოიპოვა.

ორადგილიანი გასაშლელებით ტურნირში ნიკურაძემ და ქაფიანიძემ ალიანის მესაჭეობით ყველა მეტოქე დაამარცხეს — 8.29,2.

ოთხადგილიანი უმესაჭო გასაშლელებით იმარჯვა ვილნიუსის „ჟალგირისის" კვარტეტმა (ი. სუმაჩუსი, ა. კორჩინსკასი, ა. მარკაუსკასი, კ. კუტაუტასი) — 7.32,2.

ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავებით შეჯიბრებაში ყველაზე კარგად იბრძოდნენ მცხეთის „სპარტაკის" ნიჩბოსნები — სპორტის ოსტატი ვ. ბაშკინოვი და მისი მეწყვილე ტ. უგულავა (8.05,4). ამ გამარჯვებით ბაშკინოვმა ოსტატის ნორმატივი გაიმეორა, უგულავამ კი პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმატივი.

რვაადგილიანებით მოასპარეზეთა შორის ყველას აჯობა თბილისის „ბურევესტნიკმა", რომლის შემადგენლობაში იყვნენ ნიკურაძე, ქაფიანიძე, კუდუხოვი, ფილიევი, ჯ. ჭანტურია, კასლინიაჩუკი, გ. ხურციძე, ბერაია (მესაჭე ა. აგამირზიანი) — 7.34,2.

სტარტზე სულ 110 სპორტსმენი გამოვიდა. გუნდური გამარჯვება „ბურევესტნიკს" ხვდა, II ადგილზეა „ვოდნიკი", III — „სპარტაკი".

მ. მნათობიშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.

მხოლოდ ორ მეტოქეს აჯობეს

მოსკოვის იპოდრომის ბილიკებზე

შაბათს მოსკოვის იპოდრომი მასპინძლობდა IX საკავშირო მძლეოსნურ კროსს გაზეთ „პრავდას" პრიზზე. მთავარი ჯილდოსთვის იბრძოდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები. ამას გარდა, სარბიელზე გამოდიოდნენ მხარეების, ოლქების, ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქების კოლექტივებიც. მათ შორის უძლიერესებისთვის სხვა პრიზები იყო დაწესებული.

საერთო გუნდურ ჩათვლაში იმარჯვა რსფსრ-ს ნაკრებმა. II ადგილზე არიან უკრაინის, III — მოსკოვის მძლეოსნები. საქართველოს გუნდი ისევ სუსტად გამოვიდა: მან მხოლოდ თურქმენეთისა და ტაჯიკეთის კოლექტივებს გაუსწრო და XV ადგილს დასჯერდა.

სოფლის სპორტსაზოგადოებების ჯგუფში გამარჯვებისთვის გაზეთ „სელსკაია ჟიზნის" პრიზი რსფსრ-ს „უროჟაის" გადაეცა. საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზები საუკეთესო ახალგაზრდული კოლექტივისა და 17-18 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის ყველაზე კარგი მაჩვენებლისთვის უკრაინის მძლეოსნებმა დაისაკუთრეს. ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის ჯილდო, რომელიც ქალაქების კოლექტივებს შორის საუკეთესოსთვის იყო განკუთვნილი, მეორედ მოიპოვა სვერდლოვსკის გუნდმა. აღსანიშნავია, რომ ამ ქალაქის მეორე გუნდმა V ადგილი დაიკავა. ავტონომიურ ოლქებს შორის საუკეთესო იყო მარეთის ნაკრები...

პირადი პირველობის 8 დისტანციაზე საქართველოს მძლეოსნებმა ვერც ერთი საპრიზო ადგილი ვერ დაიკავეს.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს:

17-18 წლის გოგონები. 1000 მ. ო. დვირნა — 2.50,1; **19-20 წლის ქალიშვილები. 1500 მ.** თ. კაზაჩკოვა — 4.35,2; **20 წელზე მეტი ასაკის ქალები. 2000 მ.** ლ. ბრაგინა (ყველა — რსფსრ) — 6.15,2; **35 წელზე მეტი ასაკის ქალები. 1000 მ.** მ. ივანოვა (ლენინგრადი) — 3.03,4. **17-18 წლის ჭაბუკები. 3000 მ.** ი. კორჩენკოვი (უკრაინა) — 8.18,4; **19-20 წლის იუნიორები. 5000 მ.** ს. პადერინი (მოლდავეთი) — 14.29,6; **20 წლისა და უფროსი ასაკის ვაჟები. 8000 მ.** ვ. ალანოვი (რსფსრ) — 22.33,6; **45 წელზე მეტი ასაკის ვაჟები. 3000 მ.** ვ. უდუტი (ტომსკი) — 9.36,2.

ახალი ამბები

● ჩელიაბინსკი, 10 მაისი. „ლოკომოტივის" სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ს. კორობოვმა უროს ტყორცნაში იუნიორთა ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა — 64,50 მ.



სურათზე: თბილისის ფეხბურთელთა გუნდების — „დინამოსა" და „ლოკომოტივის" მატჩის მომენტი. ბურთს ფლობს დინამოელი მ. მაჩაიძე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

●

(საბჭოთა კავშირის თასზე ამ შეხვედრის ანგარიში იხ. მე-4 გვ.).

ტრადიციული პრიზი — აფენის გუნდს

მოეწყო ლაგოდეხის რაიონული გაზეთის „გამარჯვების დროშის" თასის გათამაშება ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ტრადიციულად გამოჩენილი ქართველი ფალავნის ფარნაოზ ჩიკვილაძის ხსოვნას ეძღვნება. საპატიო ჯილდოსთვის ამჯერად 7 ნაკრები კოლექტივი იბრძოდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და სოფელ აფენის გაზის კონტორის გუნდები. საინტერესო ჭიდილში იმარჯვეს აფენელებმა და ჯილდოც მათ გადაეცათ.

გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ბ. ჩაჩანიძე, ჟ. ნავაძე, პ. გოგრიჭიანი, გ. ჰუმბურიძე, ვ. გოგოლაძე, ვ. მაკაროვი, ჯ. ქურქაძე, ვ. მენაბდე.

ფ. კვირიკაშვილი.

(ჩვენი კორ.).

ლაგოდეხი.

ერთი ნახტომით — ორი ჯილდო

ამას წინათ ნალჩიკში გაიმართა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირადი და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. საქართველოს სპორტსმენები ამ ტურნირში კარგად გამოვიდნენ. ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივმა გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ ესტონეთის სოფლის მეურნეობის აკადემიის კოლექტივთან წააგო და II ადგილი დაისაკუთრა. III ადგილზეა სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი.

პირად ასპარეზობაში კარგად გამოვიდა ზ. ალხანაიძე, რომელმაც სიგრძეზე ხტომაში პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. 740-სანტიმეტრიანი ნახტომით მან სტუდენტთა შორის I, ხოლო სოფლის სპორტსმენთა შეჯიბრებაში III ადგილი დაისაკუთრა. მ. თათევოსიანმა ჭოკით 425 სმ გადალახა და საკავშირო პირველობა მოიპოვა. ლ. აროშიძემ შუბის ტყორცნაში III ადგილი დაიკავა — 68,74 მ. თ. ცინცაძემ სამხტომში იმარჯვა — 14,54 მ. ამ შედეგმა მას სტუდენტებში პირველობა, ხოლო საკავშირო ტურნირში III ადგილი მოუპოვა.

ქალთა შეჯიბრებაში კარგად გამოვიდნენ ც. ლიპარტელიანი და ც. ჯაფარიძე. ლიპარტელიანმა შუბის ტყორცნაში სტუდენტთა შორის გამარჯვება დაისაკუთრა (46,64 მ), საკავშირო შეჯიბრებაში კი III ადგილი დაიკავა. ჯაფარიძემ მოიგო სტუდენტთა შეჯიბრება ბადროს ტყორცნაში — 42,90 მ.

ო. ხერხეულიძე.



ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚᲘᲐ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲨᲘ სამ დღეს გაგრძელდა დევისის თასის გათამაშების პირველი წრის შეხვედრა უნგრეთისა და სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

პირველ დღეს თბილისელმა ა. მეტრეველმა დაამარცხა თავისი ძველი მეტოქე ი. გუიაში — 9:7, 6:2, 6:2. საბჭოთა ნაკრების დებიუტანტმა, მოსკოველმა ვ. კოროტკოვმა დაძაბულ, სუთხელიან ბრძოლაში მარცხის სიმწარე იწვნია უნგრეთის ჩემპიონ ხ. ბარანიისთან.

მეორე დღეს გაიმართა წყვილთა შეხვედრა. მეტრეველთან ერთად მისი ტრადიციული თანამეწყვილე, ბაქოელი ხ. ლისაჩოვი გამოდიოდა. საბჭოთა დუეტმა ფარ-ხმალი დააყრევინა მეტოქეებს.

მესამე დღეს, 10 მაისს, ბატჩის ბედი გადაწყვიტა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ჩემპიონების — მეტრეველისა და ბარანიის შეხვედრამ, რომელიც თბილისელის ლამაზი გამარჯვებით დამთავრდა — 6:4, 6:2, 6:2. კოროტკოვი კვლავ დამარცხდა, ამჯერად — გუიაშთან.

მატჩის საბოლოო ანგარიშია 3:... სსრ კავშირის ნაკრების სასარგებლოდ.

ᲩᲕᲔᲜ ᲮᲛᲐᲡ ᲕᲐᲫᲚᲔᲕᲗ!

დღეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ამსტერდამის სესიაზე დაადგენს 1976 წლის ოლიმპიადის ჩატარების ადგილს.

აეს-ის კორესპონდენტმა ამსტერდამში ს. ᲕᲝᲚᲝᲕᲔᲪᲛᲐ ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურად „პრავდისთვის“ ინტერვიუ ჩამოართვა ცნობილ ჰოლანდიელ სპორტსმენებსა და სპორტულ მოღვაწეებს.

ჰ. ᲑᲣᲠᲒᲕᲐᲚᲘ, ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი.

— მოხარული ვარ, რომ მოსკოვმა წამოაყენა თავისი კანდიდატურა XXI ოლიმპიური თამაშების მასპინძლად. ჩვენს ფეხბურთელებთან ერთად მე ბევრჯერ ყოფილვარ თქვენს შესანშნავ ქალაქში. დავრწმუნდი მოსკოველთა სტუმართმოყვარეობაში, ვიცი, რა შესანიშნავი სპორტული ნაგებობები აქვს საბჭოთა კავშირის დედაქალაქს.

მინდა აღვნიშნო, აგრეთვე, საბჭოთა სპორტული ორგანიზაციების გამოცდილება დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარების საქმეში. ეს გამოცდილება მეტად სასარგებლო იქნება, თუ მოსკოვს ოლიმპიადის მასპინძლად აირჩევენ.

ᲤᲐᲜᲘ ᲒᲚᲐᲜᲪᲐᲠᲣ-ᲙᲝᲜᲔᲚᲘ, ჰოლანდიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრი, ბერლინის, ლონდონისა და ჰელსინკის ოლიმპიადების მონაწილე.

— ჰოლანდიელ სპორტსმენებს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ საბჭოთა მძლეოსნებთან. ჩემი აზრით, მოსკოვის არჩევა 1976 წლის ოლიმპიადის ქალაქად საბჭოთა სპორტის დიდი საერთაშორისო წარმატებების სამართლიანი აღიარება იქნებოდა.

მოსკოვში სამჯერ ვარ ნამყოფი. ვფიქრობ, რომ ამ ქალაქს უკვე დღეს შეუძლია ოლიმპიადის მონაწილეებისა და სპორტის მოყვარულთა მიღება, ექვს წელიწადში კი კიდევ ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს. სულითა და გულით ვუსურვებ მოსკოვს წარმატებას სოკ-ის სხდომაზე ჩემს მშობლიურ ქალაქ ამსტერდამში.

Ე-ᲜᲘ Ჰ. ᲨᲔᲜᲙᲚᲘᲡ, ტანმოვარჯიშეთა სამეფო კავშირის გენერალური მდივანი.

— ჩემთვის სასურველი იქნებოდა მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე ჩამოსვლა ჰოლანდიელ ტანმოვარჯიშეთა გუნდთან ერთად. აქამდე ჰოლანდიის ტანვარჯიშის განვითარების დონე ჩვენს სპორტსმენებს ოლიმპიადებში მონაწილეობის საშუალებას არ აძლევდა. მაგრამ ახლა მათს მომზადებაში უკეთესისკენ ძვრა შეიმჩნევა. კარგია, თუ მოსკოვი ჩვენი დებიუტის ქალაქად იქცევა.

ბ. ᲨᲐᲣᲢᲔᲜᲘ, ჰოლანდიის ჩემპიონი ცურვაში, მეხიკოს ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

— მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი წყლის ბილიკი 1976 წლის ოლიმპიადამდე არ მივატოვო. ორი წლის წინ ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში გამოვდიოდი საერთაშორისო შეჯიბრებაში და გავლილი მოსკოვშიც ვიყავი. მას შემდეგ ვოცნებობ ამ ქალაქში ხელახლა ჩასვლაზე. ჩემი აზრით, მოსკოვის კლიმატური პირობები, სპორტული ნაგებობების კარგი ხარისხი ოლიმპიელებს ჩინებული შედეგების მოპოვების საშუალებას მისცემდა.

„ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲕᲘᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲔᲑᲡ“

აეს-ის კორესპონდენტი ლონდონში Დ. ᲐᲠᲓᲐᲛᲐᲢᲡᲘᲡ შეხვდა ინგლისის ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივანს ს. ᲓᲔᲜᲘᲡᲘᲡ და სთხოვა მას პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე 1976 წლის ოლიმპიურ დედაქალაქად მოსკოვის კანდიდატურის წამოყენებასთან დაკავშირებით.

● **ბატონო დენის, მოსკოვში თუ უყოფილხართ და რას ფიქრობთ მის სპორტულ შესაძლებლობებზე?**

— რამდენიმეჯერ დედამიწის გარშემო მიმოგზაურია, თითქმის ყველა ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ საბჭოთა კავშირში ვერ ჩავედი. მაგრამ მე ბევრი რამ ვიცი თქვენი დედაქალაქის უდიდეს შესაძლებლობებზე სპორტის სფეროში. ამასთან, არც ისე დიდი ხნის წინ საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტისგან მივიღე ჩინებული ალბომი, რომელიც თვალსაჩინოდ მოგვითხრობს მოსკოვის შესანიშნავ სპორტულ ნაგებობებსა და სპორტულ წარმატებებზე.

● **როგორც იცით, 12 მაისს ამსტერდამში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი გადაწყვეტს, რომელ ქალაქში ჩატარდება 1976 წლის ოლიმპიადა. პრეტენდენტ ქალაქებს შორის მოსკოვიც არის. რა შეგიძლიათ თქვათ ოლიმპიური თამაშების იქ ჩატარების შესაძლებლობებზე?**

— მე არ მაქვს ხმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში და შემიძლია მხოლოდ ჩემი პირადი აზრი გამოვთქვა, როგორც ინგლისის ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა. შესაძლებელია, იგი ზოგიერთი ჩემი კოლეგის აზრს დაემთხვეს.

დავიწყოთ იმით, რომ შეერთებულ შტატებში უკვე ჩაუტარებიათ ოლიმპიური თამაშები — ჩიკაგოში 1916 წელს, ლოს-ანჯელესში — 1932 წელს. ამ ქვეყანაში ორჯერ გაიმართა ზამთრის ოლიმპიადა. მოსკოვს არც ერთხელ არ გაუწევია მასპინძლობა ოლიმპიური თამაშებისთვის.

რაც შეეხება კანადას, მას დიდი შანსი აქვს მიიღოს ზამთრის და არა ზაფხულის ოლიმპიადის ჩატარების უფლება. ვფიქრობ, ეს საკმაოდ დააკმაყოფილებდა ამ ქვეყანას.

ყოველ შემთხვევაში, შექმნილ სიტუაციაში მე არჩევანს მოსკოვზე შევაჩერებდი. რასაკვირველია, იმ პირობით, თუ იგი შეძლებს დააკმაყოფილოს ყველა მოთხოვნა, რომელსაც სოკ-ი წაუყენებს ოლიმპიადის მასპინძლებს. ეს საკითხი სრულიადაც არ იწვევს შეშფოთებას, რადგან, როგორც ჩემს რუს კოლეგებთან საუბარში შევიტყვე, ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება.

დარწმუნებული ვარ, რომ მოსკოვი წარმატებით გაართმევს თავს ნებისმიერ სიძნელეს, რომელიც შეიძლება ოლიმპიადისთვის მზადებისას წარმოიქმნას.

ᲞᲔᲢᲔᲠ ᲡᲜᲔᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲡ...

აეს-ის კორესპონდენტმა ახალ ზელანდიაში Ე. ᲞᲝᲖᲜᲘᲐᲙᲝᲕᲛᲐ მიმართა მორბენალ პ. ᲡᲜᲔᲚᲡ და სთხოვა მას აზრი გამოეთქვა 1976 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად მოსკოვის კანდიდატურის წამოყენების თაობაზე.

— მე მიმაჩნია, — თქვა სნელმა,— *რომ მოსკოვი ყველაზე შესაფერი კანდიდატურაა 1976 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციისთვის და ყველა შანსი აქვს XXI ოლიმპიადის ასპარეზად იქცეს. დავასახელებ რამდენიმე მიზეზს:*

ჯერ ჯერობ, საბჭოთა კავშირი მასობრივი სპორტული მოძრაობის ქვეყანაა, რომელსაც აუცილებელი ტექნიკური ბაზა და დიდი შეჯიბრებების ჩატარების მდიდარი გამოცდილება აქვს;

მეორე: ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა იზეიმოს გეოგრაფიულმა პრინციპმა. აქამდე ოლიმპიადებს ატარებდნენ დასავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ავსტრალიასა და აზიაში. დადგა აღმოსავლეთ ევროპაში ოლიმპიური თამაშების ჩატარების ჯერი, მოსკოვი კი აქ ყველაზე შესაფერისი ადგილია;

მესამე: ოლიმპიადები, როგორც ცნობილია, მშვიდობის საქმეს ემსახურებიან, ამიტომ თამაშების ჩატარება მოსკოვში განსაკუთრებით შეუწყობს ხელს ამ მიზანს. ნამდვილად მხოლოდ მაშინ შეიძლება გაუგო ადამიანებს, როცა ნახავ, როგორ ცხოვრობენ ისინი საკუთარ სახლში. მოსკოვი კი ამ თვალსაზრისით შესანიშნავ საშუალებას აძლევს დასავლეთის ხალხს გაიცნონ აღმოსავლეთი, ესე იგი, სოციალისტური ქვეყანა. ამაში მე მხოლოდ დადებით მხარეს ვხედავ.



რიგაში მწყობრში ჩადგა ახალი უნივერსალური სპორტული მანეული. აქ შეიძლება ჩატარდეს ჰოკეისტთა მატჩები, შეჯიბრებები ფრენბურთში, კალათბურთში, კრივში, აგრეთვე, ფიგურულ ციგურაობაში. ტრიბუნები 4500 მაყურებელს იტევენ. თუ საჭიროა, სპორტული სარბიელი შეიძლება გადაკეთდეს ხაკონცერტო დარბაზად ან მიტინგებისა და კრებების ჩასატარებლად.

ახალ სპორტულ ბაზას ბევრი დამხმარე ნაგებობა აქვს. აქაა ორი ხაწვრთნელი დარბაზი, სალაროების ვესტიბიული, სასადილო, კაფე, საკონფერენციო დარბაზი. მშენებლობაში ლატვიელმა ავტორებმა პირველად გამოიყენეს დაშტამპული ალუმინის ელემენტები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: რიგის ახალი სპორტული მანეული.

Ვ. ᲣᲚᲐᲡᲔᲕᲘᲩᲘᲡ ფოტო.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

ალბათ არ არის შვეიცარიაში სპორტსმენი, სპორტული მოღვაწე ან, უბრალოდ, გულშემატკივარი, რომელიც ტატგნერის სახელს არ იცნობს. ცხრაასიანი წლების დასაწყისში ტეგნერი თვითონ იყო აქტიური ათლეტი. მოგვიანებით — სხვადასხვა სპორტული კავშირის უცვლელი წევრი. ახლა იგი პოპულარული სპორტული ჟურნალისტია.

ჩვენ ტეგნერს სტოკპოლმში, მის სამუშაო კაბინეტში შევხვდით. მისთვის, რასაკვირველია, ცნობილია, რომ მოსკოვმა წამოაყენა თავისი კანდიდატურა 1976 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად. იცის ისიც, რომ მოსსაბჭოს აღმასკომი მზადაა გააკეთოს ყველაფერი, რათა XXI ოლიმპიადის მონაწილეები მოსკოველთა სტუმართმოყვარეობაში დარწმუნდნენ.

— ჩემთვის ძნელია განვსაზღვრო,— ამბობს ტეგნერი, — როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს ამსტერდამში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი. მაგრამ, ვფიქრობ, რომ XXI ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციის უფლებას მოსკოვი მიიღებს. პირადად მე ვერ ვხედავ ვერავითარ მიზეზს, რომელიც ხელს შეუშლიდა ოლიმპიადის საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ჩატარებას.

საბჭოთა კავშირში მხოლოდ ერთხელ ვიყავი, 1946 წელს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ. იმ დროს მოსკოვი, ისევე როგორც სხვა საბჭოთა ქალაქები, ომით მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა. მაგრამ იმ მძიმე პერიოდშიც კი, ჩვენ — სპორტსმენებსა და უცხოელ სპორტულ ჟურნალისტებს, შესანიშნავი პირობები შეგვიქმნეს. მოსკოველთა სტუმართმოყვარეობა ძნელი შესაფასებელია. მე აქამდე ვინახავ ბავშვების (მოსკოვის სპორტული სკოლის მოწაფეების) საჩუქარს — ყვავილების გვირგვინს, რომელიც ამ სკოლის დათვალიერებისას მივიღე.

შვედმა სპორტსმენებმა დიდი ხანია მტკიცე სპორტული კავშირი დამყარეს საბჭოთა ათლეტებთან და სპორტის მცვლელებთან. მახსენდება, რომ ორმოციან წლებში წარმატებით ჩავატარეთ მოლაპარაკება სსრ კავშირის ბურთიანი ჰოკეის ფედერაციასთან თამაშის ახალი წესების შემოღებასთან დაკავშირებით, ხოლო სკანდინავიელმა ჰოკეისტებმა ბევრი რამ გადაიღეს თავიანთი საბჭოთა კოლეგებისგან.

უკვე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მე მოსკოვში ვიყავი, — თქვა დასასრულს ტეგნერმა. — ეს პერიოდი გვიჩვენებს, რომ სპორტი საბჭოთა კავშირში განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდა, რაშიც ჩვენ ამ ცოტა ხნის წინ დავრწმუნდით — შაიბიან ჰოკეიში სტოკპოლმის მსოფლიო ჩემპიონატზე. ეჭვი არ მეპარება, რომ ამ წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა თვით მოსკოვში, რომ ქალაქში აშენდა ბევრი სპორტული ნაგებობა, რომლებიც საუსებით უპასუხებენ თანამედროვე მოთხოვნილებებს. 1976 წლის ოლიმპიადისთვის ალბათ კიდევ ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს.

დარწმუნებული ვარ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არ შეცდება, თუ XXI ოლიმპიურ თამაშებს მოსკოვში ჩაატარებს. მე და ბევრი ჩემი შვედი კოლეგა მხოლოდ მივესალმებით ასეთ გადაწყვეტილებას. 1908 წლიდან მე ყველა ოლიმპიადაზე გამოვდიოდი. მიუხედავად ხანდაზმულობისა, მაინც ვიმედოვნებ, რომ 1976 წელს საშუალება მექნება მონაწილეობა მივიღო შესანიშნავ სპორტულ ზეიმში საბჭოთა კავშირის დედაქალაქში.

ბ. ᲛᲔᲢᲘᲝᲚᲙᲘᲜᲘ.

სტოკპოლმი.

ᲕᲘᲜ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ დიდოსტატი ფიშერი აპირებს ჭადრაკმოზეიმი პირველობის მოგ... ციკლის საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობას.

„ეს როგორ? — იკითხავ თქვენ. — აშშ-ს ჩემპიონატი, მელიც ერთდროულად მსოფლიო ჩემპიონატის ზონალური ტურნირიც იყო, უკვე ჩატარდა და შერს იქ ხომ არ უთამაშია“. მაგრამ აშშ-ს ჭადრაკის ფედერაცია საზონათშორისო ტურნირი „თავისი“ სამი ხაგზურის ბაზაპატრონია და ვისაც სურს, მისცემს. ჯერჯერობით ეს ხაგზურები ს. რეშევსკის, უ. ადამსისა და პ. ბენკოს ეკუთვნით. ამბობენ, რომ ბენკო გარკვეულ კომპენსაციით თითქოს თანახმაა საზონათშორისო ტურნირის ბაზა ფიშერს დაუთმოს.

მოგაგონებთ, რომ ფიშერი ... ულოდნელად, შეხვედრების ... თავრებამდე გაემგზავრა ტუ... დან — მიატოვა 1967 წლის ... ზონათშორისო ტურნირი, ... დან არ იზიარებდა მსოფლიო ...

ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲔᲑᲗᲐ, რომელთაც ... ორის მანძილზე სტადიონ... ლია სივრცე მოენატრათ, უკვე ჩა... რეს პირველი შეჯიბრებები სუ... ჰაერზე. პრესაში გამოჩნდა განცხა... ბები ი. ლუსისის, ა. ბონდარჩუკის, ... კლიმის, ნ. ბესფამილნაიას სტარტ... ზე, რომლებმაც სამხრეთის სტადიონ... ბზე ნამდვილი საზაფხულო შედეგ... აჩვენეს. მაგრამ ეს გამოსვლები, რ... კვირველია, მხოლოდ მოთელვა ბრ... ლის წინ. ხოლო თუ ვილაპარაკ... უძლიერესი საბჭოთა მძლეოსნების ... ვარაუდო მზადყოფნაზე სეზ... მთავარი ტურნირებისთვის, საკ... პირველ ყოვლისა მხედველობაში ... ვიღოთ მათი შედეგები ზამთრის შ... ბრებებში, რომელთა შორის იყო ... დიდი ასპარეზობა, როგორიცაა ... პის პირველი ზამთრის ჩემპიონატ...

ამ ზაფხულს სსრ კავშირის ნაკ... ელის მნიშვნელოვანი საერთაშორ... შეჯიბრებები: ტრადიციული ... აშშ-ს გუნდთან და ევროპის თასის მ... ი გათამაშება. შარშან, როგორც, ... ყველას ახსოვს, ჩვენმა სპორტსმენ... „გიგანტთა ბატჩი“ წააგეს ლოს-ა... ლესში. შეიძლება ზედმეტად გაბ... ლი ჩანდეს ჩემი განცხადება, ... წლეულს სსრ კავშირის ნაკრებს ... ძლია რევანში აიღოს. მაგრამ, რ... მაც არა? საბჭოთა და ამერიკ... მძლეოსნების სამაგჭრო შეხვედრების ... ტორია მოწმობს, რომ ხშირად ... ქებთან ამერიკაში წაგების შ... ჩვენ მათ საპასუხო დარტყმას ... ნებთ შინ. საკუთარ მოედანზე სხვ... რი განწყობილებაა, ტრიბუნების ... გვარი მხარდაჭერა, რაც თავისთ... უკვე საკმაოდ მნიშვნელოვანია. ... ლოს, დამქანცველი მოგზაურობა ... რად გავლენას ახლენს არა ჩვ... არამედ ჩვენს სტუმრებზე. მაგრამ ... ვარი, რაც მე ოპტიმისტური პრ... ზის უფლებას მაძლევს, საბ... მძლეოსნობის ხარისხობრივი ... ეს განსაკუთრებით ნათლად ჩან... სახეობებში, ადრე ჩამორჩენილად ... ითვლებოდა.

ამ პოსტულატის დამამტკიცებ... მაგალითები ხელთ გვაქვს. შ... შემოდგომით ათენის ევროპულ ჩ... ონატზე ვ. ბორსოვმა საბჭოთა ... ონებიდან პირველმა მოიპოვა ... პის ჩემპიონობა ყველაზე მოკლე ... ტანციაზე რბენაში. ა. ბრატჩი... „ბრძოლი სპრინტის“ საუკეთესო ... ციალისტებთან თანაბარ ბრძ... განაახლა ეროვნული რეკორდი ... მეტრზე რბენაში (უნდა აღვნ... რომ ამ რეკორდმა 14 წელიწადს ... სუბა). ე. არეანოვმა მხოლოდ ... თი დაუთმო ევროპელი მეტელ... კერების ლიდერებს 800-მეტრიან ... სტანციაზე. როგორც ხედავთ, ... „ჩამორჩენილ“ დისციპლინებში ... რეული გამოდგა. შემოსვლეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთელთა „მსოფლიო“ სპარტაკიადა

ბუენოს-აირესი, 10 მაისი. დღეს ავსტრალიისა და ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების აქ ამართული მატჩით დაიწყო მსოფლიოს VI ჩემპიონატი. როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა ჩეხოსლოვაკიელთა გამარჯვებით აღინიშნა — 94:70.

წინასწარი ტურნირების მონაწილენი კიდევ ორ ქალაქში — სპლიტსა და კარლოვაცეში აიღებენ სტარტს. სსრ კავშირის ნაკრები ხვალ ჩაებმება ბრძოლაში — კარლოვაცეში სამხრეთ ამერიკის ჩემპიონს — ურუგვაის ნაკრებს შეხვდება. 12 მაისს საბჭოთა კალათბურთელები პანამის გუნდს ეთამაშებიან, ხოლო 13 მაისს — არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ნაკრებს.

ყოველი ქვეჯგუფიდან ორ-ორ ლიგათესო გუნდი გავა ფინალურ ხუთეულში. მათ შეჯიბრების მასპინძელი — იუგოსლავიის ნაკრები შეუერთდება. ფინალისტები 16-24 მაისს გაითამაშებენ მედლებს.

ტურნირი დასრულდა

სტრასბურგში (საფრანგეთი) გაიმართა ევროპული ლიგის პირველობის ბოლო შეხვედრა მაგიდის ჩოგბურთში. მასპინძლებმა მიიღეს გფრ-ის ნაკრები. სტუმრებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 6:1. ერთადერთი ქულა ფრანგებს მოუტანა ჟაკ სეკრეტენმა, რომელმაც დაამარცხა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ებერჰარდ შიოლერი — 21:14, 21:10.

მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპული ლიგის III გათამაშების საბოლოო ცხრილი ასე გამოიყურება: შვეიცარია — 5 ქულა (შეხვედრათა შეფარდება — 31:11), სსრ კავშირი — 5 (23:19), უნგრეთი — 4 (25:17), ინგლისი — 4 (22:20), ჩეხოსლოვაკია — 2, გფრ — 1, საფრანგეთი — 0 ქულა.

ამრიგად, საფრანგეთი ტოვებს უმაღლესი ჯგუფის რიგებს. შემოდგომაზე დაიწყება IV გათამაშება, რომელშიც ფრანგების ნაცვლად ავსტრიელები ითამაშებენ. ავსტრიელებმა ეს უფლება მეორე ჯგუფის გუნდებს შორის გამარჯვებით მოიპოვეს.

მძლეოსნები სტადიონებზე გამოვიდნენ

მიმოხილვა

ევროპის ზამთრის ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ შემთხვევითობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ბორზოვმაც, ბრატჩიკოვმაც და არჟანოვმაც პირველობა მოიგეს, თუმცა მათი მეტოქეები ვენაში — არანაკლებ სახიფათონი იყვნენ, ვიდრე ათენში. საბჭოთა მწვრთნელები მრავალი წლის მანძილზე ეძებდნენ სპორტერებისა და საუალო მანძილებზე მორბენლების მომზადების სწორ მეთოდიკას, მაგრამ მხოლოდ მეთოდის პოვნა არ არის საკმარისი. იმისთვის, რომ პირველი ნაყოფი მიიღო, დროა საჭირო. ჩანს, ეს დროც დადგა.

ყველაზე სასიამოვნოა, რომ ვენის სტადიონ წამებს ვერავითარ შემთხვევაში ვერ აჯობნი ცალკეული ტალანტების წარმატებებით. ბორზოვს სადაცაა დაეწევა ჭაბუკი ბაქოელი ა. კორნელიუკი, რომელმაც 100 მეტრი უკვე გაირბინა 10,1 წამში. ბრატჩიკოვის ზურგს უკან საუკეთესო მორბენლების მთელი ჯგუფი დგას ი. ზორინისა და ბ. სავჩუკის მეთაურობით. ალბათ, უკვე შეიძლება ლაპარაკი სარისხობრივ ძვრაზეც.

აქ კი, ცხადია, გვერდს ვერ აუვლი მწვრთნელებს. ჩემი აზრით, განსაკუთრებით თბილ სიტყვებს იმსახურებს ვ. ბუზნეცოვი — დაკვირვებული და გამოცდილი სპეციალისტი, რომელიც მოწაფეებთან თავის დამოკიდებულებას ამხანაგობისა და ურთიერთგაგების საფუძველზე აგებს. ბუზნეცოვმა უკვე მოამზადა ბრინჯაოს ოლიმპიურ ჯილდომდე ნ. ბურდა-ჩისტიაკოვა. ახლა მის გუნდში გაჩნდა კიდევ ერთი ლაურეატი — ბრატჩიკოვი, რომელთანაც კეთილცოვი მრავალი წელია მუშაობს.

მწვრთნელმა ვ. პეტროვსკიმ დაამუშავა სპრინტერთა წვრთნის ორიგინალური მეთოდიკა, რომელიც სხვადასხვა ასაკის ძლიერ ბლობის მორბენლებთან ინდივიდუალურ დამოკიდებულებაზეა დამყარებული. პირველი შედეგი გახდა ვ. ბორზოვი მისი სწრაფი აღმავალი. ერთი სიტყვით, მწვრთნელები თავიანთ მოწაფეებთან ერთად ეძიებენ და უნდა ვივარაუდოთ, რომ, განსაკუთრებული ვ. ალექსეევის მსგავსად, ისინი მალე დაეუფლებიან მაღალი კლასის სპორტსმენების „სერიულ მანუფაქტურას“.

ამერიკელებთან მოკლე და საუალო დისტანციებზე შეხვედრისას ჩვენ უფრო ხშირად უიმედოდ ვაგებდით. ამჟამად ამ სახეობებში, როგორც ვფიქრობ, დამატებითი ქულების დაგროვებაც შეიძლება. ჯერჯერობით ძალიან გვიჭირს მხოლოდ 200-მეტრიან მონაკვეთზე, 110 მეტრზე თარჯრბენში და, ალბათ, კილომეტრნახევრიან დისტანციაზე. სტაიერულ რბენაში და სტიპლ-ჩეზში ჩვენი პოზიციები საკმაოდ ძლიერია, ხოლო 400 მეტრზე თარჯრბენში გვყავს ისეთი ვარსკვლავი, როგორიცაა ვ. სკომოროხოვი, კიეველი მწვრთნელის, ევროპის ექს-ჩემპიონ ვ. ბულანჩიკის აღსაზრდელი.

როგორაა საქმე ხტომაში? ვ. გავრილოვმა, ათენისა და ვენის ტურნირების ჩემპიონმა, რამდენიმე ნაბიჯით გაუსწრო თავის პარტნიორებს. დღეს გავრილოვს შეუძლია სიმაღლეზე ხტომა მოუგოს ნებისმიერ სპორტსმენს, მათ შორის, ოლიმპიურ ჩემპიონს აშშ-დან რ. ფოსბიურისაც, რომელმაც დიდი სენსაცია გამოიწვია სპორტულ ბოს ახალგაზრდებთან მეტოქეობასო? მე კარგად ვიცნობ ჩემს მეგობარსა და თანამებრძოლს და დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ვენაში მას უბრალოდ მარცხი მოუვიდა, რისგანაც არც ერთი ჩემპიონი არ არის დაზღვეული. ასეთი მარცხი იშვიათად მეორდება და ალბათ ძირითად სტარტებზე ტერიტორიანი ადრინდელივით ძლიერი იქნება.

სამხტომში ვ. სანეევი იმდენად მაღლა დგას დანარჩენებზე, რომ სსრ კავშირის ნაკრებს ეს სახეობა სავსებით სამეული (ხანაფინი, ი. ისაკოვი, გ. ბლიზნეცოვი) ნებისმიერ მომენტში შეიძლება „აფეთქდეს“ ყველაზე მაღალი შედეგებით და წარმატებებით. ეს სპორტსმენები 520-530 სმ-ზე ხტებიან, მაგრამ უკვე დღეს შეუძლიათ უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიონ.

ტყორცნა. ი. ლუსისი (შუბი), ა. ბონდარჩუკი და რ. კლიმი (ურო) დამკვრელ რგოლებს წარმოადგენენ სსრ კავშირის ნაკრების საბრძოლო რაზმში. რაც შეეხება ბადროს ტყორცნას, აქ გვყავს ვ. ლიასოვი, მეტად ნებისყოფიანი სპორტსმენი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე დიდი საერთაშორისო გამარჯვებები არ მოუპოვებია, მაინც შეძლო შარშან ლოს-ანჟელესში ამერიკელების დამარცხება. ბირთვის კვრაში კი ჩამოვრჩებით. ვ. გუშჩინი ევროპის რეკორდსმენი და პირველი საბჭოთა მტყორცნელი იყო. მან 20 მეტრზე შორს კვრა ბირთვი, მოიგო ბრინჯაოს ოლიმპიური მედალი, მაგრამ შემდეგ ძალიან ჩამორჩა, ღირსეული პარტნიორები კი ალარ გამოუჩნდა.

უნდა ვთქვა, რომ სსრ კავშირის ნაკრების ვაჟთა ნახევარი დღეს საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება. ვაჟები დაწინაურდნენ, ქალებმა კი, რომლებიც გუნდში მუდამ ყველაზე ძლიერ და ბრძოლისუნარიან რაზმად ითვლებოდნენ, პოზიციები დათმეს. რასაკვირველია, საბჭოთა მძლეოსანი ქალები კვლავ იზრდებიან, მაგრამ არა ისეთი ტემპებით, რასაც მძლეოსნობის თანამედროვე განვითარება მოითხოვს. ევროპის უდიდესი სპორტული ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები ბოლო წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ქალთა მძლეოსნობას და ნაყოფსაც იმკიან.

ცხადია, მოგვდის შეცდომები დიდი საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის გუნდის დაკომპლექტებისას. მიკვირს, რატომ გაგზავნეს ვენაში ევროპის ზამთრის ჩემპიონატში საასპარეზოდ მხოლოდ ერთი სიმაღლეზე მხტომელი ნ. ბრინცევა? იგი უდავოდ ნიჭიერი სპორტსმენია, ქვეყნის ჩემპიონიც გახლავთ, მაგრამ სრულიადაც არ არის საბჭოთა კავშირში უძლიერესი. ეს საიდუმლოს არ წარმოადგენს! რატომ არ გაგზავნეს ა. ლაზარევა-ოკოროკოვა, რომელიც 184 სანტიმეტრზე ხტება? ან ვ. კოზირი? სულაც არ არის გასაკვირი, რომ მას შემდეგ, რაც მხარდაჭერის გარეშე დარჩა (ამასთან საერთაშორისო შეხვედრების საკმარისი გამოცდილება არა აქვს), ბრინცევამ ვერავითარი კონკურენცია ვერ გაუწია ევროპის უძლიერეს მხტომელებს.

ევროპის თასის გათამაშება, რომელიც თავისთავად საინტერესო ტურნირია, საბჭოთა ნაკრებისთვის პრინციპული დავის ხასიათს მიიღებს გდრ-ის გუნდთან, რომელმაც შარშან ორჯერ ჩამოიტოვა სსრ კავშირის მძლეოსნები (ჩვენი ქვეყნის, გდრ-ისა და პოლონეთის მატჩში, აგრეთვე, კონტინენტის ჩემპიონატში). აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ — ეს თავმოყვარეობისა და პრესტიჟის საკითხია. ევროპის თასის გათამაშება უძნელესი შეჯიბრებაა. იგი ნერვების, ხასიათების ბრძოლაა, რადგან სპორტსმენი პარტნიორის მხარდაჭერის გარეშე გამოდის და თუ წაიბორძიკა, ვერავინ დაეხმარება. ამ დროს მთელი გუნდი ზარალდება. დარწმუნებული ვარ, რომ აქ ბევრი რამ დამოკიდებულია არა მარტო სპორტსმენზე და მის, ასე ვთქვათ, პირად, მუდმივ მწვრთნელზე, არამედ ეროვნული გუნდის ხელმძღვანელებზეც. თასის გათამაშებისთვის გუნდს მათ უნდა შეუქმნან საბრძოლო განწყობილება, უნდა გაითვალისწინონ ყოველი წვრილმანი, შეამოწმონ ყველა დეტალის მუშაობა.

მძლეოსნები უკვე ემზადებიან დიდი სტარტებისთვის. ღია სტადიონებზე. გამოვთქვამთ იმედს, რომ საბჭოთა მორბენლები, მხტომელები, მტყორცნელები ბოლოს და ბოლოს წლეულს მაინც მიიღებენ სინთეტურ ბილიკებს, რომელთა უქონლობაც მეტისმეტად მძიმედ მოქმედებს მძლეოსნებზე (ამას ვამბობ, როგორც მოქმედი სპორტსმენი). თებერვლის შეჯიბრებებში მოსკოვის სპორტის სასახლეში ბილიკები რეკორტანით იყო გაწყობილი. ისღა დარჩა, რომ ახალი საფარი (გაუმჯობესებული ვარიანტი) სტადიონებზე გადაიტანონ. ეს გამარჯვების ერთ-ერთი წინაპირობა გახლავთ.

ვ. ბრუმელი,
ოლიმპიური ჩემპიონი.

სურათზე: ვ. ბრუმელი.

გამოიღებენს სპასკის?

ოლიმპიადის გათამაშების არსებულ სისტემას. იგი ახლაც უკმაყოფილია ამ სისტემისა, მაგრამ ამჟამად ფიშერს, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „დავაუკაცებულს როგორც ადამიანსა და როგორც მოჭადრაკეს“, განზრახული აქვს გადალახოს ყველა დაბრკოლება, რაც ჭადრაკის სამეფო ტახტზე ოცნებობს.

საზონთაშორისო ტურნირი წლევანდელი წლის ბოლოს პალმა-დე-მალიორკაში (ბალეარის კუნძულები, ესპანეთი) ჩატარდება. შეჯიბრებაში 24 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. პირველ ყოვლისა, ესენი არიან ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები ე. გელერი, ლ. ბოლუგაევსკი, ვ. სმისლოვი და ტალინოვი, რომლებმაც თამაშის უფლება სსრ კავშირის ბოლო ჩემპიონატში მოიპოვეს. თუმცა, მეფეს ტახტის საბჭოთა მაძიებელნი ექვსნი არიან: მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტ. პეტროსიანი (როგორც მსოფლიო პირველობის უკანასკნელი მატჩის მონაწილე) და ვ. კორჩნოი (როგორც პრეტენდენტთა წინა ტურნირის ფინალისტი) ბრძოლაში პრეტენდენტთა ციკლიდან ჩაებმებიან.

კიდევ ერთი ქვეყანა — იუგოსლავია, ისევე როგორც სსრ კავშირი, საზონთაშორისო ტურნირში ოთხ მონაწილეს მიავლენს. ესენი არიან: ს. გლიგორიჩი, ბ. იფკოვი, მ. მატულოვიჩი და დ. მინიჩი.

როგორც ზემოთ ითქვა, ესპანეთში აშშ-დან სამნი ჩავლენ. დანარჩენები ვინ არიან და საიდან ჩავლენ მალიორკაზე? ორნი — ვ. ბორტი და მ. ფილიპი ჩეხოსლოვაკიიდან, ამდენივე—არგენტინიდან — მ. ნაიდორფი და ო. პანო, თითო: უნგრეთიდან — ლ. პორტიში, ბრაზილიიდან — ე. მეკინგი, გდრ-იდან — ვ. ულმანი, კანადიდან— დ. სთოლზი, კუბიდან — ე. ჰიმენეხი, მონღოლეთიდან — ტ. უიტუმენი, ფილიპინებიდან — ნარანია, გფრ-იდან — ჰ. ჰიუბნერი. ითამაშებს დანიელი ბ. ლარსენიც, როგორც პრეტენდენტთა წინა ტურნირის მესამე პრიზიორი.

ერთი სიტყვით, ისინი ოცდათოთხნი არიან. ექვსი საუკეთესო მოხვდება პრეტენდენტთა ტურნირში, სადაც მათ პეტროსიანი და კორჩნოი შეუერთდებიან. შემდეგ — პრეტენდენტთა წყვილების მატჩები. მათში გამარჯვებული შეხვდება მსოფლიო ჩემპიონს ბ. სპასკის.

ამრიგად, მსოფლიო პირველობის შეჯიბრებათა არსებული სისტემა დაცული იქნება, და მაინც ბევრი, ისინიც კი, ვინც საზონთაშორისო ტურნირში მოხვდა, უკმაყოფილოა ამ სისტემით. მათ შეიძლება გავუგოთ. ამჟამად არსებული ათი ზონა მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლის მიღმა ტოვებს საკმაოდ ბევრ ღირსეულ მოჭადრაკეს, მაშინ, როცა ბრძოლის უფლებას ნაკლებად ძლიერ ოსტატებს ანიჭებს.

აი, მაგალითად, ფილიპინელი ნარანია. იგი ალბათ თავადაც არ დაიწყებს მტკიცებას, თითქოს, ვთქვათ, მ. ტალზე, ლ. შტეინზე ან დ. ბრონშტეინზე უკეთესად თამაშობს. მიუხედავად ამისა, ნარანია საზონთაშორისო ტურნირში გაშოვა, ზემოთ ჩამოთვლილი სამი მოჭადრაკე კი არა. მიზეზი ერთია: ნარანია გამოდიოდა ზონაში, სადაც მრისხანე მეტოქეები არ ჰყავდა, შტეინმა და ტალმა კი ვერ შეძლეს სსრ კავშირის ჩემპიონატში სანუკვარ ოთხეულში მოხვედრა.

და კიდევ, ამჟამინდელ სისტემაზე. საზონთაშორისო ტურნირის შემდეგ პრეტენდენტთა დამქანცველი მატჩები, სადაც ერთი წაფორხილება, და — მშვიდობით, ოლიმპიადო!

ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ბევრ დიდოსტატს, მწვრთნელს, სპეციალისტს იმედი აქვს, რომ მსოფლიო პირველობის გათამაშების არსებული სისტემა ბოლოს და ბოლოს შეიცვლება. ბევრი ფიქრობს, რომ საჭიროა ზონების გაუქმება და მოწვეული მოჭადრაკეებით ტურნირების ჩატარება. გვირგვინისთვის ბრძოლაში მხოლოდ საუკეთესონი უნდა მონაწილეობდნენ! მათ დასახელეს ან კოეფიციენტთა განსაკუთრებული ცხრილი, ან ფიდე-ს კომპეტენტური ორგანო. ასეთი მოწვეული მოჭადრაკე შეიძლება იყოს, მაგალითად, ჰპ. ისინი ორ ჯგუფად განაწილდებიან. შემდეგ შედგება ფინალური ტურნირი და მასში გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონს შეხვდება. დროის მიხედვით ციკლი ორ წლამდე შემცირდება, ეს კი ნიშნავს, რომ „მეფე“ დიდი ხნით ვერ „მოიწყენს“...

არ ვიცი, ეს გეგმები გატარდება თუ არა ცხოვრებაში. ეს ნათელი გახდება ფიდე-ს კონგრესის შემდეგ, რომელიც ამა წლის აგვისტოში ზიგენში (გფრ) გაიმართება საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადის დროს.

ვ. ბაბკინი.



ინტერვიუ თვითმფრინავის ტრაპთან

მოსკოვი, 10 მაისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). სულ ცოტა დრო დარჩა წლევანდელი სპორტული ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ მოვლენამდე — ფეხბურთში მსოფლიოს IX ჩემპიონატამდე: 31 მაისს მეხიკოს „აცტეკის“ სტადიონზე, ამ უაღრესად საინტერესო გათამაშების პირველ მატჩში, ერთმანეთს შეხვდებიან საბჭოთა კავშირისა და მექსიკის ნაკრები გუნდები. დღეს დილით საბჭოთა ფეხბურთელებმა მექსიკაში გამგზავრების წინ ბოლო საწვრთნელი მეცადინეობა ჩაატარეს და მერე შერემეტიევოს აეროდრომის გზას დაადგნენ. მათ გეზი უჭირავთ ოკეანეს გადაღმა—კოლუმბიისა და ეკვადორისკენ, სადაც გადამწყვეტი ბრძოლების წინ ორ ამხანაგურ შეხვედრას — გენერალურ რეპეტიციებს გამართავენ.

სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გ. კაჩალინმა თვითმფრინავში ჩასხდომის წინ განაცხადა, რომ მას არავითარი პრეტენზიები არა აქვს 22 ფეხბურთელის მიმართ, რომლებმაც ამას წინათ ევროპაში გამართეს ტურნე (წვრთნა და ოთხი თამაში ბულგარეთში, შვეიცარიასა და საფრანგეთში).

— ჩვენთვის, — უთხრა „ლელოს“ კორესპონდენტს გ. კაჩალინმა, — განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ბულგარელ სპორტსმენთა მაღალმთიან ოლიმპიურ ბაზაში ბემეკენში წვრთნა და თამაში. უნდა მოგახსენოთ, რომ მაღალმთიანეთის პირობები, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მონაწილეებს მოუხდებათ თამაში, მე მაინცდამაინც არ მაშფოთებს. ჩვენი გუნდი მანამდე ითამაშებს კოლუმბიაში, რომლის სტადიონიც ზღვის დონიდან თითქმის ორჯერ უფრო მაღლა მდებარეობს, ვინემ „აცტეკი“. სპეციალისტების აზრით, და მე მათ საკუთარი ვეთანხმები, მაღალმთიანეთიდან „დაშვება“ დადებითად იმოქმედებს სპორტსმენთა აკლიმატიზაციაზე მეხიკოში.

... სულ მალე თვითმფრინავი ცაში აიჭრა. აი, როგორი შემადგენლობით გაემგზავრა საბჭოთა ნაკრები სამხრეთ ამერიკაში: **მეკარეები**: კავაზაშვილი, რუდაკოვი; **მცველები**: ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ლოვჩევი, ლოგოფეტი, აფონინი, ხურცილავა, ზიკოვი; **ნახევარმცველები**: სერებრიანიკოვი, მუნტიანი, ასათიანი, კისელიოვი, პაპაევი; **თავდამსხმელები**: ბიშოვეცი, პუზაჩი, გ. ნოდია, მეტრეველი, ხმელნიცკი, პორკუიანი, ევრიუჟიხინი.

მე-80 წუთზე — ლ. ნოდიამ...

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 9 მაისი.

„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 1:0 (0:0).

„დინამო“: სტეფანია, კანთელაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ბინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, ილიადი, მაჩაიძე, მჭედლიშვილი, გავაშელი, ლ. ნოდია.

„ლოკომოტივი“: ბერიძე, გოგიჭანაშვილი (ჭირიანაშვილი), პანოვი, ქელეხიძე, შავაცაბაია, ძაგანია, ჭოლაძე, ბახტაძე (ყიფიანი), საფაროვი, ხუციშვილი, ჭელიძე.

მსაჯი ი. ბოჭორაძე (თბილისი).

სიახლე, რომელიც სსრ კავშირის თასის წლევანდელი გათამაშების მეთექვსმეტედ და მერვედფინალში შემოიღეს, ნამდვილად მისასალმებელია. მხედველობაში გვაქვს ამ ეტაპებზე გუნდებს შორის 2 შეხვედრა. ეს, რა თქმა უნდა, გამორიცხავს შემთხვევითობას და თასის შემდგომ ეტაპზე ბრძოლის შესაძლებლობას უქმნის ნამდვილად უძლიერესს.

... ამ მატჩის მონაწილეთა თამაშის კლასი, რა თქმა უნდა, განსხვავებულია, მაგრამ მხედველობაში ისიცაა მისაღები, რომ დინამოელთა რიგებში 6 ძირითადი მოთამაშე არ იყო, რკინიგზელებს კი ამასწინანდელი მარცხიანი ტურნეს შემდეგ რამდენადმე უნდა აღედგინათ შელახული ავტორიტეტი.

მატჩი დუნედ დაიწყო. მეტოქეები ძირითადად სუსტი ადგილების მოსინჯვას მოუნდნენ და კარს არც დამუქრებიან. მხოლოდ მე-12 წუთზე შეიქმნა რკინიგზელთა კართან საფრთხე, როცა მჭედლიშვილი კარგად გავიდა მარჯვენა ფრთაზე და ცენტრში ჩააწოდა ბურთი, მაგრამ დინამოელთაგან იქ არავინ აღმოჩნდა. ტაიმის ბოლომდე დინამოელებმა კიდევ რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმები უზუსტო იყო. 44-ე წუთზე კი ლ. ნოდიას ძლიერად დარტყმული ბურთი ძელმა „მოიგერია“.

შესვენების შემდეგ თამაში უფრო საინტერესოდ წარიმართა. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 15 წუთი გამუდმებით წვიმდა, გუნდებმა მაღალი ტემპი თამაშის ბოლომდე შეინარჩუნეს. მატჩის ბედი გადაწყდა მე-80 წუთზე, როცა ლ. ნოდიამ ისარგებლა რკინიგზელთა მცველების შეუთანხმებელი მოქმედებით და ახლოდან გაიტანა გოლი.

ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა შედგება 13 მაისს.

ა. ცეხანელი.

პირველი შეხვედრები

10 მაისს დაიწყო საკავშირო გათამაშება „ბ“ კლასის რსფსრ-ს II ზონის I ჯგუფში, სადაც საქართველოს გუნდებიც მონაწილეობენ. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ შემდეგი ქალაქებიდან:

სოხუმი

აფხაზეთის დედაქალაქში პირველი კალენდარული მატჩის მონაწილენი იყვნენ აღგილობრივი „დინამო“ და ცხინვალის „სპარტაკი“.

მეტოქეებმა როგორღაც უხალისოდ, მოუნდომებლად დაიწყეს თამაში. ტაიმმა ისე განვლო, რომ ბურთი შუა მინდორს არ მოსცილებია. საჯარიმო მოედანზე შესვლაც კი იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. მხოლოდ 43-ე წუთზე შეძლეს დინამოელებმა რეალური საშიშროების შექმნა მეტოქის კართან, ენიკმა ბურთი ჭითანავას გადასცა და ამ უკანასკნელმა გასსნა ანგარიში — 1:0.

შესვენების შემდეგ სტუმრები საგრძნობლად გააქტიურდნენ. მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ჯიქაიამ კარგად გამოიყენა შექმნილი მდგომარეობა და ზუსტი დარტყმით გაქვითა გოლი — 1:1.

შ. ჯალალონია.

რუსთავი

გათამაშების პირველი მატჩი ადგილობრივ „მეტალურგს“ სარანსკის „სპარტაკთან“ ჰქონდა.

მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობა თავიდანვე აშკარა იყო. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა: მეტალურგები უტევდნენ, ხშირად ქმნიდნენ კრიტიკულ მომენტებს, საკუთარი კარი კი უხიფათოდ ჰქონდათ, — მეკარე ნარსის თითქმის არავითარი ჯაფა არ ადგა. მაგრამ მარტო შეტევა საქმეს არ შველის. სპარტაკელთა მცველებმა და მეკარემ სტრიგინმა შეძლეს ყველა ამ იერიშის მოგერიება, ამას გარდა ნაღდი საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს ალადაშვილმა, ბახტაძემ, ფედიაევმა და სხვ.

ერთი სიტყვით, პირველმა მატჩმა რუსთაველ მაყურებლებს დიდი კმაყოფილება ვერ მოჰგვარა, ვინაიდან „მეტალურგმა“ ხელიდან გაუშვა გამარჯვების აშკარა შესაძლებლობა — 0:0.

რ. გაბრიელიძე.

ფოთი

ადგილობრივმა „კოლხეთმა“ თავის მინდორზე მიიღო კამენსკ-შახტინსკის „პროგრესი“. დაახლოებით მე-20 წუთამდე თამაში უინტერესოდ მიმდინარეობდა. მაგრამ სწორედ ამ დროისთვის „კოლხეთის“ დაცვაში დაშვებული შეცდომა დაუყოვნებლივ გამოიყენა კოზმინმა — 1:0.

ამის შემდეგ მასპინძლებმა უმატეს ტემპს და 38-ე წუთზე ალმასიამ წონასწორობა აღადგინა — 1:1.

ფოთელი ფეხბურთელები განაგრძობდნენ იერიშებს შესვენების შემდეგაც და ერთ-ერთ მომენტში სტუმართა მცველმა ხელით ითამაშა. პენალტი იმავე ალმასიამ გამოიყენა — 2:1.

შემდგომში „კოლხეთს“ შეეძლო კიდევ უფრო დაწინაურება, მაგრამ მისმა ფორვარდებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე კარგი შესაძლებლობა. სამაგიეროდ, „პროგრესის“ თავდამსხმელი პოლიაკოვი თავისი გუნდის ერთ-ერთი კონტრშეტევისას ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოჩნდა და მისმა დარტყმამ მიზანსაც მიაღწია — 2:2.

ბ. ბასილაია.

სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „სულორი“ (ვანი) 1:1, „კასეთი“ (თელავი) — „სპარტაკი“ (ტყიბული) 1:1, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „სპარტაკი“ (ქიზიყანი) 2:5, „ტორპედო“ (ეისკი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „მეტალურგი“ (კრასნი სულიმი) 2:1, „გურია“ (ლანჩხუთი) — „ორბიტა“ (ბელაია კალიტვა) 3:0.

„ბ“ ჯგუფი

თასი და მისი მოულოდნელობანი

9 მაისს გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩები (როგორც ცნობილია, ახალი წესით მეთექვსმეტედფინალისა და მერვედფინალის მონაწილენი ორ-ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს — შინ და გარეთ).

კარგად ითამაშა ქუთაისის „ტორპედომ“, რომელმაც მოსკოვში დაამარცხა აგილობრივი „ლოკომოტივი“ — 2:1.

ორჯონიკიძის „სპარტაკი“ შინ დამარცხდა ვოროშილოვგრადის „ზარიასთან“ შეხვედრაში — 1:2. ასევეა ანგარიშით მოუგო კიევის „დინამომ“ სიმფეროპოლში აგილობრივ „ტავრიის“.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ნეფტიანიკი“ (ფერგანა) — „ცსკა“ 0:3, „ლუჩი“ (ვლადივოსტოკი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 0:2, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:0, „დინამო“ (მინსკი) — „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) 1:0, „პამირი“ (დუშანბე) — „არარატი“ (ერევანი) 3:2, „ასკ“ (დონის როსტოვი) — „ავანგარდი“ (ტერნოპოლი) 1:0, „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 2:2, „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 1:1, „ყაირათი“ (ალმა-ათა) — „ნევთჩი“ (ბაქო) 0:0, „მეტალურგი“ (ტულა) — „ფასთაქორი“ (ტაშკენტი) 0:0.

10 მაისს შედგა კიდევ 2 მატჩი და ორივე ფრედ დამთავრდა. მოსკოვის დინამოელებმა მიიღეს ჟიტომირის „ავტომობილისტი“ და ფრეს დასჯერდნენ—0:0. მოსკოვის „სპარტაკი“ ვორონეჟში აგებდა ადგილობრივ „ტრუდთან“ (გოლი გაიტანა შამანოვმა) და როცა თამაშის დამთავრებას ხუთიოდე წუთი აკლდა, ჰუსაინოვმა მარცხისგან იხსნა „სპარტაკი“ — 1:1.

ფეხბურთის მოყვარულებს ალბათ ახსოვთ, რომ VIII მსოფლიო ჩემპიონატის წინ ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის პრეს-ბიურომ გამოაცხადა კონკურსი „ოქროს ქალღმერთი“. მაშინ კონკურსმა დიდი ინტერესი გამოიწვია. პრეს-ბიუროს მისამართით ათი ათასობით შევსებული ცხრილი იგზავნებოდა. გაითვალისწინეს რა ეს პირველი წარმატება, საკავშირო გაერთიანება „სოიუზსპორტგოსკინოფილმი“ და ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის პრეს-ბიურომ გადაწყვიტეს ფეხბურთელთა IX მსოფლიო ჩემპიონატის წინ გამოაცხადონ ახალი კონკურსი — „ოქროს ქალღმერთი-70“.

კონკურსი ფეხბურთის მოყვარულებს სთავაზობს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის თამაშების დაწყებამდე გასცენ პასუხი ცხრილის შეკითხვებზე, რომელიც პრეს-ბიუროს მიერ გამოცემულ ბუკლეტს ერთვის (ეს ბუკლეტები მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ „სოიუზპეჩატის“ ყველა ჯიხურში).

კონკურსის მონაწილემ ბუკლეტიდან ცხრილი უნდა ამოხიოს, შეავსოს, მარკიან კონვერტში ჩადოს და გაგზავნოს მისამართით: მოსკოვი გ-277, ჟიური კონკურსისა „ოქროს ქალღმერთი-70“. ცხრილი უნდა გაიგზავნოს არა უგვიანეს 30 მაისისა. იმ კონვერტებს, რომლებსაც საფოსტო შტემპელი 30 მაისზე გვიან ექნებათ დასმული, ჟიური არ გახსნის. კონკურსის მონაწილეებმა უნდა გაითვალისწინონ ისიც, რომ გაურკვეველად შევსებულ, ან ისეთ ცხრილებს, სადაც შეტანილი იქნება შესწორებები და ბუნდოვანი მინაწერები, ჟიური არ განიხილავს.

კიდევ ერთი აუცილებელი პირობა: უნდა შეივსოს მხოლოდ ის ცხრილი, რომელიც ზემოხსენებულ ბუკლეტს ახლავს. ხელით გაკეთებულ ცხრილებს ჟიური არ მიიღებს.

მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჟიური კონკურსში გამარჯვებულთა ვინაობას დაადგენს. ამასთან, განიხილება მხოლოდ ის ცხრილები, სადაც I განყოფილების ხუთივე კითხვაზე სწორი პასუხი იქნება გაცემული. შემდეგ შეარჩევენ ცხრილებს, სადაც პასუხები სწორად იქნება გაცემული ყველა სხვა შეკითხვაზეც.

კონკურსში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად გამოყოფილია გამოცემის რეალიზაციით მიღებული საერთო თანხის 25 პროცენტი (დანარჩენი, კონკურსის ორგანიზაციისა და ჩატარების ხარჯებს გარდა, ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას მოხმარდება).

საპრემიო ფონდის 50 პროცენტი მოხმარდებათ მონაწილეებს, რომლებიც სწორად გასცემენ პასუხს I განყოფილების შეკითხვებს, 30 პროცენტი — მონაწილეებს, რომლებიც სწორად უპასუხებენ I და II განყოფილებათა კითხვებს. ფონდის 20 პროცენტი გათვალისწინებულია იმ მონაწილეებისთვის, რომლებიც სამივე განყოფილების კითხვებზე სწორ პასუხებს გაუგზავნიან ჟიურის.

კონკურსის პირობებით ყოველ მონაწილეს, რომელიც სწორად უპასუხებს ცხრილის ყველა შეკითხვას, შეუძლია მიიღოს პრემია 1000 მანეთის რაოდენობით.

კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილება გამოქვეყნდება გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ფურცლებზე. პრემიები გამარჯვებულებს დაეგზავნებათ ცხრილებში მითითებული მისამართების მიხედვით არა უგვიანეს 1970 წლის 15 სექტემბრისა.

კონკურსი — „ოქროს ქალღმერთი-70“

გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის ცხრილში („ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფი) დაშვებულ იქნა უზუსტობა. მოსკოვის „ტორპედოს“ მაჩვენებლები უნდა იკითხებოდეს ასე: **9 თამაში, 3 მოგება, 3 ფრე, 3 წაგება, ბურთების სხვაობა 9—10, ქულა — 9.**

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, **დეკემბრისთვის** — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მახარბრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81.